სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - ფიზიკურ მედიცინდა და რეაბილიტაცია

„დამტკიცებულია“
აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2025
წლის 12 სექტემბერი (ოქმი N13)

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია / Physical Medicine and Rehabilitation

2. უმაღლესი განათლების საფეხური

მეორე (მაგისტრატურა)

3. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე

მეშვიდე

4. კვალიფიკაციის დასახელება

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი// master of Physical Medicine and Rehabilitation

5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის კოდი და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)

0915

6. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, ECTS კრედიტები და მათი განაწილება

სამაგისტრო პროგრამა ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია მოიცავს 120 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა 2 სასწავლო წელი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით, ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, მათ შორის შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 82 კრედიტი; ძირითადი

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;

პრაქტიკის კომპონენტი – 15 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) – 15 კრედიტი;

7. სწავლების ენა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

ქართული, მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი 49, ქ. თბილისი, 0162

ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ, ქ. თბილისი, 0186

8. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, თანახელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერიძე MD. Ph.D. ტელ.: 593 300 400; E-mail: k.beridze@sportuni.edu.ge

9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამის „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაცია“ სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება (გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა) და კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის მინიმალური ზღვარის გადალახვა;

მაგისტრანტობის კანდიდატი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებია: გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში.

- გამოცდა სპეციალობაში ტარდება ზეპირი ფორმით;
- ინგლისურ ენაში გამოცდა ტარდება ტესტირების გზით. მინიმალური გადასალახი ზღვარია 51%. ტესტი არის B2 დონის.
- მაგისტრანტობის ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს (FCE, TOEFL, IELTS) – თავისუფლდებიან გამოცდისაგან. გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებიც.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. კერძოდ: საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;

გ) სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ გეგმასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, რომელიც უპასუხებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ექნება ინტეგრალურ-სისტემური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა, კლინიკური და კრიტიკული აზროვნება, ანალიზის, შეფასების, დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; ეთიკური პასუხისმგებლობის ფარგლებში განახორციელებს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ბაზარზე არსებული საჭიროებების ხედვისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს რეაბილიტაციის სფეროში მიმდინარე ტენდენციების, დასაქმების ბაზრის, გარე შეფასების ანალიზის შედეგებს. შედგენილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარებით, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, ლიეტუვას სპორტის მეცნიერებებისა და ინოვაციების ინსტიტუტის და სხვ.

პროგრამა ფოკუსირებულია ფუნდამენტურ თეორიულ და მეცნიერულ შეხედულებებზე, რათა მოამზადოს დარგის პროფესიონალები რეაბილიტაციაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განხორციელების უნარით, კარიერის ფართო სპექტრისათვის.

სამაგისტრო პროგრამა, რომლის ქვაკუთხედს წარმოადგენს კლინიკური სტაჟირება და სამაგისტრო ნაშრომი, უზრუნველყოფს იმ თეორიულ-პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების შეძენას და განვითარებას, რომელიც საჭიროა პროფესიულ საქმიანობაში. მტკიცებულებებზე დაფუძნებული განათლება და სამეცნიერო კვლევების წარმართვის უნარი უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის და გამოცდის მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

1. აღწერს/განმარტავს პათოლოგიებს (მათ შორის სპორტულს), მათ შესაძლო გართულებებს, პრევენციისა და რეაბილიტაციისათვის გამოყენებულ მეთოდებსა და საშუალებებს; სპორტული ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საკითხებს;
2. იკვლევს ინდივიდთა/სპორტსმენთა ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, ახდენს შედეგების სათანადო შეფასებას და დოკუმენტირებას;
3. აწვდის ინფორმაციას პაციენტს/ მშობელს/ მეურვეს მისთვის გასაგებ ენაზე, სწორი და თავისუფალი კომუნიკაციის საფუძველზე, ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის, რეაბილიტაციის მნიშვნელობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
4. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე (ანამნეზის) განსაზღვრავს სტრატეგიებს და შეიმუშავებს სარეაბილიტაციო პროგრამას;
5. ახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს (საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტაციის თანამედროვე ტექნიკურ საშუალებების გამოყენებით), მონიტორინგს და სარეაბილიტაციო პროგრამის შედეგების შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები პროგრამაში;
6. აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
7. მოიძიებს/შეარჩევს, შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევის მეთოდს, სამეცნიერო კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით და წარადგენს კვლევის შედეგებს ვერბალური და წერითი ფორმით;
8. მუშაობს დამოუკიდებლად ინტერდისციპლინური ჯგუფის შიგნით, მულტიდისციპლინურ გარემოში ინტერპერსონული კომუნიკაციის უნარების გამოყენებით;

9. მოქმედებს, პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად, პროფესიული პასუხისმგებლობის, ეთიკის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით;
10. გეგმავს დამოუკიდებლად სასწავლო პროცესს და კვლევებს, საჭიროებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, პროფესიული ზრდა– განვითარებისათვის.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის მეთოდებად გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომები, რომელიც ასახულია სილაბუსებში, მათ შორისაა - ლექცია (ინტერაქციული), სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკა და სხვა (იხ. სილაბუსებში).
სასწავლო კურსებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდები, რაც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს - დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ანალიზი, CBCR (Case-Based Clinical Reasoning) – შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა, CBD (Case-based Discussion) – შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია, CBL (Case- Based Learning) – შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება, PBL (Problem-Based Learning) – პრობლემის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება, WPBA (Workplace based assessment) – შეფასება სამუშაო ადგილზე, ქეისების ანალიზი, როლური თამაშები და სხვა.
სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. სასწავლო კურსში კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება ხდება კურსის

სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. ლექტორს, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლება აქვს მიუთითოს და გამოიყენოს მეთოდები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პროგრამაში ან/და კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლებისა და სწავლის ნებისმიერი მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
სამაგსიტრო ნაშრომის შესრულების და შეფასების წესი რეგულირდება „სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისა და შეფასების ინსტრუქტიით“.

შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ე)
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დამატებით გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 40 ქულა, გარდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 60 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა ყველა საგანში შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 60 ქულის სულ მცირე 40%+1, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 40 ქულის სულ მცირე 40%. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო კურსის ავტორმა შუალედური შეფასების კომპონენტებში განსაზღვროს სავალდებულო მინიმალური შეფასების ზღვარი.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს მის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს.
სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, უნივერსიტეტის მიერ შემუშვებული ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად".
სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.
სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. მას ენიჭება უფლება, შეარჩიოს ახალი თემა და სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის შესაბამისად.

დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია"ათვისების შემდგომ, კურსდამთავრებული შეძლება დასაქმდეს სარეაბილიტაციო სამსახურებსა და დეპარტამენტებში, ჯანდაცვის სისტემის სტაციონარული და ამბულატორიული ტიპის ყველა რგოლში, მრავალპროფილურ და სპეციალიზებულ სარეაბილიტაციო კლინიკებში, სპორტულ გუნდებში, სპორტულ სკოლებსა და კლუბებში, საკურორტო და ველნეს-ცენტრებში, სპორტული და სპორტულ - გამაჯანსაღებელ სტრუქტურებში, სამედიცინო სარეაბილიტაციო სამსახურში, სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ასევე, კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაერთოს თემზე დაფუძნებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ

პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; სიმულაციური სწავლების კაბინეტი, კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და სწავლება-სწავლის პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი.

ყველა თანამშრომელს და სტუდენტს აქვს კორპორატიული მეილი, რომელთა დაბოლოებაში არის ასახული @sportuni.edu.ge; არსებული მეილ სერვერი მდებარეობს Dreamhost-ის სერვერზე, რომელთა ადმინისტრირებას ახორციელებს IT სამსახური.
სასწავლო პროცესის ადმინისტრირება ხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით - http://students.sportuni.ge/#/login სადაც სტუდენტები ეცნობიან შეფასებებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, რეგისტრირედებიან სასწავლო კურსებზე. აგრეთვე ზემოთ ხსენებული პორტალი გამოიყენება

სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL” მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებშიც აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონურ რესურსებთან და ბაზებთან:

- BioOne Complete
- Royal Society Journals Collection
- Edward Elgar Publishing Journais and Development Studies e-books
- Sage Premier
- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Openedition Journals

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, პრაქტიკის კომპონენტი სავალდებულოა და სტუდენტი გაივლის მას უნივერსიტეტთან ხელშეკრულების/მემორანდუმის მქონე სამედიცინო/სარეაბილიტაციო ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებში, პროფილურ პროფესიულ ასოციაციებში, სპორტული ფედერაციების და კლუბების/გუნდების სამედიცინო სამსახურის ბაზებზე:

- „დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“;
- შპს „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური, არაოლიმპიური და პარაოლიმპიური ნაკრები გუნდების სამედიცინო სამსახური“
- შპს ჯანმრთელობის ცენტრი;
- შპს „ალექსანდრე კონდრატენკოს ქრონოკინეზოთერაპიის სარეაბილიტაციო ცენტრი“;
- თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის ს/კ ცენტრი”.
- შპს „ ავერსის კლინიკა“ სარეაბილიტაციო ცენტრი;
- შპს მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“;
- შპს „ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი“
- შპს „პირველი ნაბიჯი საქართველო“;
- ა(ა)იპ სოციალური ადაპტაციისა და რეაბილიტაციის ცენტრი „აისი“
- ა(ა)იპ „საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია“
- სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი;
- აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია და სხვ.

ადამიანური რესურსები წარმოდგენილია ადგილობრივი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელთაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და პედაგოგიური/სამეცნიერო ან/და პრაქტიკული გამოცდილება (იხ. დანართში).

ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსებს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამას სრული დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია მოემსახუროს 20 სტუდენტს.

პროგრამის სასწავლო გეგმა

N	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტომუშაობის საათები სემესტრში				სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სუ; ლ	სემესტრი				ლექტორი
				ლექცია	სემინარი/პრაქტიკული მეცადინეობა	კლინიკური პრაქტიკა	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			I	II	III	IV	
	საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები													
1.	ფიზიკური დატვირთვის	არ აქვს	8	30	60		4	106	200	X				პროფესორი ლიანა კაკიაშვილი;

	ფიზიოლოგია და ბიოქიმია													ასოც. პროფესორი ეკა ხურციძე
2.	დინამიური მორფოლოგია	არ აქვს	5	15	30		2	78	125	X				პროფესორი ნინო ქოჩაკიძე
3.	დარგობრივი ინგლისური ენა	არ აქვს	5	–	60		4	61	125	X				ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა
4.	პროფესიული ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები	არ აქვს	3	5	18		2	50	75	X				ასოც. პროფესორი ქეთევან ბერიძე
5.	სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ფსიქოლოგია	არ აქვს	5	15	30		2	78	125	X				პროფესორი ქეთევან ინასარიძე
6.	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	არ აქვს	4	15	30		4	51	100	X				მოწვეული ლექტორი ლევან მეტრეველი
7.	კინეზოთერაპია	დარგობრივი ინგლისური ენა	5	14	29		3	79	125		X			ასოც. პროფესორი მერი პატარაია
8.	სპორტული პათოლოგია, ტრავმა და რეაბილიტაცია სპორტში	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია; დინამიური მორფოლოგია; დარგობრივი ინგლისური ენა	5	10	10	21	3	81	125		X			მოწვეული ლექტორი თეა ადამია
9.	ფიზიკური რეაბილიტაცია სომატური პათოლოგიების დროს	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია; დარგობრივი ინგლისური ენა	4	6	15	17	3	59	100		X			პროფესორი ლიანა კაკიაშვილი;
10.	ნერვული სისტემის დაავადებების რეაბილიტაცია	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია; დარგობრივი ინგლისური ენა	5	6	17	17	2	83	125		X			მოწვეული ლექტორი მარიამ სურგულაძე
11.	ბიოსამედიცინო კვლევების მეთოდოლოგია და სტატისტიკა	დარგობრივი ინგლისური ენა	4	10	29	-	3	58	100		X			ასოც. პროფესორი მარიამ პაპიაშვილი

12	ფიზიკური და კოგნიტური განვითარება, დარღვევები და რეაბილიტაცია	დარგობრივი ინგლისური ენა	3	10	30		2	33	75		X			ასოც. პროფესორი ქეთევან ბერიძე

13.	ოკუპაციური თერაპია	დინამიური მორფოლოგია; დარგობრივი ინგლისური ენა	4		7	30	4	59	100			X		მოწვეული ლექტორი ნაზიბროლა ქაჯაია
14.	ადაპტური ფიზიკური აქტივობა და რეაბილიტაცია	დარგობრივი ინგლისური ენა	5	7	23	25	2	68	125			X		ასოც. პროფესორი ელისო მურვანიძე
15.	ფიზიოთერაპია	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია; დარგობრივი ინგლისური ენა	5	-	44		3	78	125			X		მოწვეული ლექტორი ნინო წერეთელი
16.	დიეტოლოგია კვებითი სარეაბილიტაციო პროგრამები	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია; დარგობრივი ინგლისური ენა	4	8	36	–	2	54	100			X		ასოც. პროფესორი ქეთევან ბერიძე
17.	ბავშვთა თანდაყოლილი, შეძენილი და იშვიათი ნერვული პათოლოგიების რეაბილიტაცია	დარგობრივი ინგლისური ენა	5	–	10	37	2	76	125			X		მოწვეული ლექტორი მარიამ სურგულაძე მოწვეული ლექტორი შაქრო აბრამიშვილი
18.	დოპინგი	დარგობრივი ინგლისური ენა	3	10	25	–	3	37	75			X		მოწვეული ლექტორი თეიმურაზ უკლება
19.	პრაქტიკა სპეციალობაში	I–III სემესტრის სასწავლო კურსები	15	-	-	187	2	186	375					ქეთევან ბერიძე
20	სამაგისტრო ნაშრომი	I–III სემესტრის სასწავლო კურსები	15	კონსულტა ცია 75		-	-	300	375					

	საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები													
											4	4		
21	სპორტის ნუტრიციოლოგია	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია;	4	10	25	-	2	63	100		X	X		ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერიძე

		დარგობრივი ინგლისური ენა												
22	სამკურნალო ტურიზმი	დარგობრივი ინგლისური ენა	4	15	29	-	3	53	100		X	X		მოწვეული ლექტორი თამარ ჩილინგარიშვილი
23	მხედველობის დარღვევები, კორექცია, რეაბილიტაცია	დარგობრივი ინგლისური ენა	4	7	26	-	2	65	100		X	X		მოწვეული ლექტორი მანანა კიკოლაშვილი
24	ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ტრავმები და მათი რეაბილიტაცია	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია; დარგობრივი ინგლისური	4	9	19	15	2	55	100		X	X		მოწვეული ლექტორი თეა ადამია
25	ადრეული განვითარების თერაპია	დარგობრივი ინგლისური ენა	4	6	19	20	2	53	100		X	X		მოწვეული ლექტორი ვერიკო გულიაშვილი

1- გაცნობა
2- გაღრმავება
3- განმტკიცება

სწავლის შედეგების რუკა

№	კურსის დასახელება	პროგრამის სწავლის შედეგები									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	საგანმანათლებლოპროგრამის ძირითადისწავლისსფეროს სავალდებულო სასწავლოკურსები										
1.	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია	1				1, 2	1				1
2.	დინამიური მორფოლოგია	1, 2					1	1, 2			
3.	დარგობრივი ინგლისური ენა			1, 2				1, 2			
4.	პროფესიული ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლები			1			2	2		1, 2	
5.	სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ფსიქოლოგია	1, 2		1,2		1,2			1,2	2	
6.	საზოგადოებრივი ჯანმრთლობის შესავალი				1,2				1,2		
7.	კინეზოთერაპია				2	2	2				1
8.	სპორტული პათოლოგია, ტრავმა და რეაბილიტაცია სპორტში	2	1, 2	2	3	3	2	2	2	2	
9.	ფიზიკური რეაბილიტაცია სომატური პათოლოგიების დროს	2	1, 2	2	2	2	2	2	2	2	2
10.	ნერვული სისტემის დაავადებების რეაბილიტაცია	2		2	2	2	2	2	2	2	
11.	ბიოსამედიცინო კვლევის მეთოდოლოგია და სტატისტიკა							2		2	2
12.	ფიზიკური და კოგნიტური განვითარება, დარღვევები, რეაბილიტაცია	2	2	2		2	2	2		2	2
13.	ოკუპაციური თერაპია			2	2		2			2	
14.	ადაპტური ფიზიკური აქტივობა და რეაბილიტაცია	2		2	2	2	3	2		2	
15.	ფიზიოთერაპია			2	3			3	2	2	
16.	დიეტოლოგია კვებითი სარეაბილიტაციო პროგრამები	2	1, 2				2	3		2,3	3
17.	ბავშვთა თანდაყოლილი, შეძენილი და იშვიათი პათოლოგიების	3	3	3	2, 3			3	3	3	
18.	დოპინგი				1, 2			2		2	
19.	პრაქტიკა სპეციალობაში	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
20.	სამაგისტრო ნაშრომი	3	3		3	3	3	3	3	3	3